ნინო ბობოხიძე

ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ლუდვიგშაფენის ბიზნესისა და საზოგადოებრივი უნივერსიტეტი, გერმანია

,,Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ლუდვიგშაფენის ბიზნესისა და საზოგადოებრივ უნივერსიტეტში გატარებული სემესტრი გახდა გზა, რომელმაც ჩემი ცხოვრება ახალი მიმართულებით შეცვალა. გერმანიაში სწავლამ მომცა შესაძლებლობა საკუთარი თავი სრულიად სხვა კუთხით დამენახა, დამეძლია უცხო გარემოში მარტო ცხოვრების გამოწვევები და მომეძებნა ის ძალა, რომელიც დღემდე თავდაჯერებულობას მმატებს.

თითოეული დღე ახალ აღმოჩენას ჰგავდა, საკუთარ შესაძლებლობებს, ადამიანებსა და კულტურებს ახლოს ვეცნობოდი. ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც ამ მოგზაურობამ მაჩუქა, არის მეგობრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მათთან ერთად ყოველი დღე სავსე იყო პოზიტივით, გულწრფელი საუბრებითა და დაუვიწყარი მოგონებებით, რომლებიც მუდამ გამყვება. სწორედ მათ მასწავლეს თუ როგორია გულწრფელი მხარდაჭერა, ნამდვილი მეგობრობა და განსხვავებული კულტურების სილამაზე.

აკადემიური თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა გამიხსნა ახალი გზები. გამოვარჩევდი SAP და ERP სისტემების შესწავლას, სფერო, რომელიც დღეს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია და ჩემთვის დიდი კარიერული პერსპექტივის საფუძველი გახდა. პრაქტიკული დავალებები და ჯგუფური მუშაობა მაძლევდა შესაძლებლობას არა მხოლოდ თეორიულად მესწავლა, არამედ რეალურ ბიზნეს-სიტუაციებთანაც გამემკლავებინა თავი. სწორედ აქ გავამყარე ანალიტიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარი. ლექტორები არამხოლოდ პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ, არამედ უშუალო დამოკიდებულებითაც, რაც სწავლებას უფრო ღრმა და საინტერესო პროცესად აქცევდა.

ლუდვიგშაფენში გატარებული დრო ჩემთვის საუკეთესო გამოცდილებად იქცა , აკადემიურადაც და პიროვნულადაც. დღეს უკვე ზუსტად ვიცი, რომ Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობა იყო ნაბიჯი, რომელმაც მომავალი კარიერისთვის ძლიერი საფუძველი მომცა და პარალელურად მაჩუქა დაუვიწყარი მოგონებები, ბედნიერება და ახალი ხედვა ცხოვრების მიმართ.''